22/04/2021

საბერძნეთის ეკლესია უფლის ბრწყინვალე აღდგომას 2021 წელს ღია ცის ქვეშ შეხვდება და იზეიმებს

საბერძნეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, 2021 წელს, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე საბერძნეთში წმიდა ტრაპეზები ტაძრების ეზოებში მოეწყობა.
მრევლის იმ ნაწილს, რომელიც სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგიაზე დასწრებას ვერ შეძლებს, ეკლესიამ მოუწოდა აივნებზე გამოსვლისკენ, რათა ლიტურგიას თვალყური საკუთარი სახლებიდან ადევნონ და ამგვარად გახდნენ ღმრთისმსახურების მონაწილენი.

[მსოფლიო საეკლესიო სიახლენი]